

**უმაღლესი მანიფესტი საქართველოს სამეფოს  
რუსეთის იმპერიასთან შეერთების თაობაზე  
(1801 წლის 18 იანვარი)<sup>1</sup>**

წყალობითა ღმრთისათა, ჩვენ, პავლე პირველი, იმპერატორი და თვითმპურობელი სრულიად რუსეთისა და სხვათა და სხვათა და სხვათა...

საქართველოს სამეფო, უძველესი დროიდან შეჭირვებული სხვა სჯულის მეზობელი ხალხების მიერ, გამუდმებით თავის დაცვისაგან დასუსტებული, აცნობიერებდა ამ ომების, უმეტესწილად, სავალალო შედეგებს. ამას თან ერთვოდა სამეფო გვარის წარმომადგენლებს შორის არსებული ქიშპობა, რაც შინაომების გაღვივებას უწყობდა ხელს და საფრთხეს უქმნიდა თავად სამეფოს არსებობას. გრძნობდა რა თავისი აღსასრულის მოახლოებას და ითვალისწინებდა რა გარეშე მტრების მხრიდან საბოლოო დამონებისა და განადგურების გარდაუვალობას, მეფე გიორგი ერეკლეს ძემ, დიდგვაროვნებმა და ქართველმა ხალხმა, უფლებამოსილი წარმომადგენლების პირით, მხარდაჭერისა და მფარველობისთვის მოგვმართეს ჩვენ თხოვნით, სრულიად რუსეთის საიმპერატორო ტახტის უშუალო ქვეშევრდომებად მივიღოთ საქართველოს სამეფოს შემადგენლობაში შემავალი მხარეები.

ყველა ერთმორწმუნე ერისადმი ჩვენთვის ჩვეული გულმოწყალებიდან და ასევე ქართველი ხალხის კეთილდღეობაზე ჩვენი მუდმივი მზრუნველობიდან გამომდინარე, გადავწყვიტეთ შევასრულოთ მეფე გიორგი ერეკლეს ძისა და ქართველი ხალხის სურვილი და ამიტომ ბრძანება გავეცით ჩვენი ჯარების საქართველოს სხვადასხვა მხარეში შეყვანის თაობაზე, მაგრამ არა იმდენად ქვეყნის შიდა მოწყობის შესანარჩუნებლად, რამდენადაც გარეშე მტრების თავდასხმებისგან მის დასაცავად.

ამდენად, ჩვენი საიმპერატორო სიტყვით განვაცხადებთ, რომ ჩვენი სახელმწიფოსთვის საქართველოს სამეფოს სამარადისოდ შემოერთებით ჩვენ მიერ არა მარტო მინიჭებული და დაცული იქნება ჩვენი ძვირფასი და ერთგული საქართველოს სამეფოსა და მისი ხელქვეითი მხარეების ახალი ქვეშევრდომებისთვის კანონით მიღებული ყველა უფლება, უპირატესობა და საკუთრება, არამედ ამ დროიდან დაწყებული ზემოაღნიშნული მხარეების ყველა წოდების თითოეული წარმომადგენელი მიღებს და ისარგებლებს ყველა იმ უფლებით, თავისუფლებებით, სარგებლითა და უპირატესობით, რითაც ჩვენი მფარველობის ქვეშ, ჩვენი წინაპრებისა და ჩვენი წყალობით, სარგებლობენ რუსეთის ძირძველი ქვეშევრდომები.

დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენი ახალი ქვეშევრდომები და მათი შთამომავლობა შემდგომშიც ჩვენი და ჩვენი მემკვიდრეების ერთგული დარჩებიან და ჩვენი იმპერიის საკეთილდღეოდ იღვანებენ, რომლის წევრებიც ყოვლადსახიერი ღმრთის განგებულებით ახლა გახდნენ, და ჩვენს მონარქიულ კურთხევას დაიმსახურებენ.

მიღებულია სანქტ-პეტერბურგში, ქრისტეს შობიდან 1801 წლის 18 იანვარს; ჩვენი მეფობის მეხუთე, ხოლო დიდი მაგისტრობის მესამე წელს.

დედანი ხელმოწერილია საკუთრივ მისი საიმპერატორო უდიდებულესობის მიერ ასე: „პავლე“.

<sup>1</sup> П. Г. Буткова. Материалы для новой истории Кавказа, съ 1722 по 1803 годъ. Часть вторая (Съ пятью планами). СПб., Типография Императорской Академии наукъ, 1869. С. 466-467. тარგმნა თამარ ფანცულაიამ, რედაქტორი – ბერი გიორგი(რუსადე).